# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 193. | კვირა, 15 თებერვალი 1904 წ. | გაზეთის № 2410.


## დედის მსხვერპლი

(მოთხრობა)

1

ლუკაია ახალი მოსული იყო ყანიდან. ფეხები ქუსლ ჩაკეცილ წუღებში ედგა, ახალოხი გახსნილი ჰქონდა და ოფლისაგან გაყვითლებული პერანგი უჩანდა. თეთრი გამტვერიანებული ყაბალახი მხრებზე ედო.

დედა, რომელსაც სახეზედ რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდა, კარებთან ჩამომჯდარი დაუხვდა. მატყლსართავდა. ლუკაიამ თოხი შეინახა და მოლზე დაჯდა, დედის წინ. ლუკაია მორცხვად იხედებოდა აქეთ-იქეთ და ცოლს ეძებდა. მაგრამ ცოლი არსადა სჩანდა, არ შეჰგებებია ყანიდან მოსულს ქმარს. ლუკაია მიჰხვდა, რომ რძალსა და დედამთილს რაღაზედაც უკმაყოფილობა მოსვლიათ. უნდოდა ეკითხნა, სადაა მინადორაო (ასე ეძახდნენ იმის ცოლს), მაგრამ დედას მოერიდა, შერცხვა და გაჩუმდა. ეფროსინე, ლუკაიას დედა, ცოტახნის სიჩუმის შემდეგ, მოუყვა შვილს ცოლზედ საყვედურს:

— შენ არ ეუნები, ჰკვით იყოს ოჯახში, კედელ-ყურეს მოუაროს, ტერ-მოყვარეს მიხედოს და სხვა რამეზე იმომქინოს... იგიც გვეყოფა, რომ შვილი არა ჰყავს, დაგვავსო და ამოგვაგდო და ქე მაინც ოჯახს მოუაროს...

ლუკაია ყველაფერს ხმა ამოუღებლივ ისმენდა და ერთის სიტყვითაც არ იცავდა ცოლს.



შორეულ აღმოსავლეთში წითელის ჯვრის დროებითი საავადმყოფო.

ლუკაია ყურ-მოჭრილი მონა იყო დედისა: დედის ნებადაურთველად ვერას გააკეთებდა, ვერსად წავიდოდა, ფულს ვერ დახარჯავდა, თუ დედა ნებას არ მისცემდა, ტანისამოსსაც ვერ გამოიცვლიდა, ეკლესიაში ვერ წავიდოდა, სახლს ვერ მოსცილდებოდა.

მამა ლუკას ბავშვობის დროს მოუკვდა და სულ დედის ხელში იზრდებოდა: სცხოვრობდნენ მარტოდ-მარტო დედა და შვილი.

ეფროსინეს გარეგნობაც მკაცრი ჰქონდა: მაღალი, ვაჟკაცური ტანადობა, აწეწილ-დაწეწილი შავი თმა მუდამ უკან ჰქონდა წაკრული; დიდრონი თვალები მუდამ ცეცხლს აფრქვევდა. დაუმატეთ ამას გრძელი შავი წამწამები, რომელიც ღორის ჯაგარს მოაგონებდა კაცს, და კავკასიონის ქედივით გადაჭიმული ცხვირი.

რადგან ეფროსინე ადრე დაქვრივდა, იმის ტანს თეთრი ტანისამოსი არ უნახავს, მუდამ შავებში იყო და უმეტეს დროს ფეხშიშველი დადიოდა, რის გამო ფეხები დახეთქილი ჰქონდა. მეზობლები ეფროსინეს „ტურას“, „კუდიანს“, „რუკაპს“ და „ქაჯ-ქალას“ ეძახდენ. ყველა! იმისი ეშინოდა, არავის არ უნდოდა ეფროსინეს ყბაში ჩავარდნილიყო და თავი ეწყევლინებინა, რაშიაც ეფროსინეს სოფლის ოცი დედაკაცი ვერ მოუგებდა. თუ კი ვინმეს საწყევლად მიადგებოდა, იმის გაჩუმებას ადამიანი ვერ შესძლებდა: იყაყანებდა, იყაყანებდა, ანთხევდა, აგინებდა იმდენს, რომ, როგორც ჩვენებურად იტყვიან,



**მანჯურია.**—სადარაჯო ბინა

რიონი და ცხენის წყალი ვერ გარეცხავდა, ეტკინებოდა ყბები და გაჩუმდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონებით, ქვრივის პირობაზედ, ეფროსინე გაჭირებული არ იყო, რადგან ქმარმა სამყოფი ადგილ-მამული, ფული და სახლ-კარი დაუტოვა.



მანჯურია.—რუსის ჯარის-კაცები მანჯურიელის სახლში.

ლუკაიას პატარაობიდან სოფელში ყველა „ტურის შვილს“ეძახდა. იმ თავითვე გაუბედავი და თავმდაბალი ადამიანი იყო. სწავლებით იმისთვის არავის არაფერი უსწავლებია: იმისი სკოლა ყანა იყო, მუდამ მიწის მუშაობაში იყო. გარდა თავის და ორი სხვა სოფლისა, სხვა სოფელი ან ქალაქი ლუკაიას არ ენახა. ერთი ამ ორ სოფელთაგანი ლუკაიას დედულეთი იყო და მეორე ახლო მდებარე დაბა, სადაც, დედასთან ერთად, წაიღებდა ხოლმე შეშას, კვერცხ-ქათამს გასასყიდად. არც კი ეგონა, თუ მეტი რამე იყო ქვეყანაზედ. ხოლო როცა გაიგონებდა მუშებისაგან ბათუმისა და ფოთის სახელს, გაკვირვებაში მოდიოდა: ეს ორი ქალაქი რაღაც არა ქვეყნიურათ ეჩვენებოდა.

— რავა გოუშოფ სამე, წამიხდება, გამიფუჭდება შვილი!—იძახდა ეფროსინე.

19-20 წლიწადი შეუსრულდა ლუკაიას. რადგან დედის ერთა იყო, უნდა ცოლი შეერთო, მაგრამ თუ დედა არა, ის ხომ თავის სიცოცხლეში არ იფიქრებდა ცოლის შერთას. პატარაობიდან არც კი გაჰმასხარავებია ქალს, ქალის პირდაპირ შეხედვაც-კი არ შეეძლო, განსაკუთრებით თუ დედა ახლო ეგულვებოდა. დედა თავის ტოლ-ნათესავ ქალებში გავლას და ლაპარაკსაც კი უშლიდა.

— რა შენი საქმეა ქალებში ლაპარიკი... შენ კაცი ხარ, კაცებში უნდა ერიო!—ეტყოდა ხოლმე ხშირად დედა.

თუმცა ადგილ-მამული და შეძლება გლეხის კაცის პირობაზედ ლუკაიასაც ჰქონდა და იმასაც შეეძლო გლეხურად ქალის შენახვა, მაგრამ იმისი ცოლობა მაინცა-და-მაინც არავის ენატრებოდა, რადგან ყველას ეშინოდა იმის დედისა.

სანამ თვითონ ეფროსინემ არ გადასწყვიტა რძლის მოყვანა, სხვისი რჩევა არ მიიღო. თავის განზრახვა არც კი გააგებინა შვილს. ეფროსინემ ამოირჩია ლუკაიასთვის საცოლე თავის სოფლიდან და მერე უთხრა შვილს ყველაფერი. რასაკვირველია, რამე საშვალება რომ ჰქონოდა ეფროსინეს სარძლოს და ობლობ-ღარიბობას არ აეძულებინა, არასოდეს არ გაჰყვებოდა ლუკაიას ცოლად. მაგრამ ობლობამ, სიღარიბემ და უპატრონობამ აიძულეს გაჰყოლოდა ლუკაიას.

ეფროსინემ თავის ძმის დახმარებით ქორწილი გადაიხადა. მეზობლებიდან მხოლოდ ისინი მიიწვია, ვისაც ემადლიერებოდა. ლუკაიას ჯვრის წერის დროს ეგონა, ქვეყანა იქცევაო. სირცხვილის გამო იმ დღეს ერთი ადამიანისათვის პირ-და-პირ არ შეუხედავს. რაღაცა გაურკვეველ სირცხვილ-სიხარულს ჰგრძნობდა. ცოლის შერთვა კიდეც უხაროდა, კიდეც სცხვენოდა, კიდეც ეშინოდა...

აი, ლუკაია უკვე ცოლიანი კაცია. ცოლი სახლში ჰყავს. ეფროსინე, სანამ რძალს მოიყვანდა, სიხარულში იყო, გაბედნიერებას მოელოდა, მხოლოდ ეხლა კი ძალიან უკმაყოფილო იყო. პირველი მიზეზი უკმაყოფილებისა ის იყო რომ აგერ წელიწად ნახევარზედ მეტი გადიოდა, რაც რძალი მოიყვანა და ჯერ კიდევ ფეხმძიმობის არაფერი ეტყობოდა. მეორე კიდევ ის იყო, რომ რძალი ისეთი ადამიანი არ გამოადგა, როგორც იმას სურდა, ე. ი. ლუკაიასავით მორჩილი და მონა. მაგრამ ამას იმდენად არ ითაკილებდა, როგორც ლაპარაკში ამბობდა, რომ უშვილო არ გამომდგარიყო. ძალიან წუხდა ამის გამო ეფროსინე, ბევრი უწამლა, მაგრამ ვერაფერი უშველა.



იაპონიის იმპერატორი მუცუკიტო ჯარის დასათვალიერებლად მიდის.

— დამაფსო და ამომაგდო ყვერაფელ გაციებულის შვილმა, ცეცხლი მომიკიდა,—ამბობდა მუდამ რძალზედ ეფროსი



ა. ვირენიუსი

კონტრ-ადმირალი, უფროსი შორეულ აღმოსავლეთ წყლებში წასულ ესკადრასი, რომელსაც იაპონიის ფლოტი უცდის გზაზე.



„დმიტრი დონსკოი". „ოსლიაბა". „ავრორა".

შორეულ აღმოსავლეთში წასული ჯავშნიანი გემები, რომელსაც იაპონიის ფლოტი უდარაჯებს.



დაღუპული გემი „იენისეი"



კრეისერი 1-ლი ხარისხისა „ასკოლდი".



კრეისერი მე-2 ხარისხისა „ნოვიკ".



ჯავშნიანი კრეისერი „ბაიანი"

ამ სამივე კრეისერმა: „ასკოლდმა", „ნოვიკმა" და „ბაიანმა" მიიღო მონაწილეობა პორტ-არტურთან ბრძოლაში, 12 თებერვალს.

ნე.—არაფელს არ შობა, არაფელს ყურს არ უგდებს... რა ვჩივიო. იძახის...

ლუკაიის ცოლს, მინადორას, ჯოჯოხეთში ყოფნა ერჩია: ქმარი არა ჰყავდა ისეთი, რომ დაეიმედებინა, დედამთილისაგან დაეცვა; ნათესავები თუ ვინმე ჰყავდა, მაინცა-და-მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, ასე რომ ყველასაგან უიმედოთ და უმწეოთ იყო.

— ჩემ სიცოცხლეს ათასწილათ სიკვდილი არ ჯობია?— იტყოდა ხანდიხან მინადორა, როცა დედამთილი უბრალო რამისათვის გაჰლანძღავდა და ქმარი კი ამ დროს ხმასაც არ იღებდა.

— ნეტავი ახლავე გაგვარდებოდეს ი წაწყმედილი სული,— კაპასად შეუტევდა დედამთილი,—რა დასადგომი პირი გაქ აქანეი... დამღუპე და ამომაგდე... შვილი შენ არა გყავს და არაფელი. შენი წყალობით უძეოთ უნდა გადევიაროთ...

— ხვთის ნებაა ყველაფერი... ვინ იცის, ეგება კიდო ქე მეყოლოს... ჩემი რა ბრალია?

— ხვთის ნებაა?—ბრაზით გაუმეორებდა დედამთილი,— რეიზა ხვთის ნება... განა ღმერთს არ უნდა ხალხი გაუმრავლდეს? მარა შენ ხარ ცოდილიანი.... ცოდილიანის შვილი.... შენ არ გყავს შვილი, არც მინდღეჩი გეყოლება, იმისანა ადამიანი ხარ. ის საათი რათ არ დეიქცა, რაცხა საჰთს შენ გითხოვე... დამავსე.... დამღუპე... შვილი შენ არა გყავს.... არაფელს არ ჩივი!...

— რა იცი მე ვარ უშვილო... ეგება შენი შვილია...

— კიდო, უყურე ამ წუწქს! რავა შემაჩვია ენა! აი დედასა! რა უჭირს ჩემი ლუკაიას საუშვილო! ალმასივით ადამიანია... უყურე რას მიბედავს?!..

ასეთს სიტყვებს ისეთის კილოთი ეტყოდა ეფროსინე რძალს, რომ ეშმაკსაც შეაშინებდა: იმისი მაღალი ტანით წამოიჭიმებოდა, კისერს დაიგრძელებდა, თვალებს შეშლილივით დაატრიალებდა, კისრის ძარღვები სისხლით დაევსებოდა. ამ სურათის მნახველი მინადორა შეშინდებოდა და ქმარს გადახედავდა. მაგრამ ქმარს იმაზე უფრო ეშინოდა. ასეთი სცენები ხშირი იყო. ისე დღე არ გავიდოდა, რომ დედამთილი რძალს არ წასჩხუბებოდა.

მალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები, დეპეშები!...



რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. цен. Тифлисъ, 14 февраля 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.